სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე თად მიმართავენ რედაქციას დილის 10 ს საათიდგ. დ. საღამოს 6—დ და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას
ხელ-მოუწერავ წერილებს რე დაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქ ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339



# წლის დამლევამდე

გაზეთი „ცნობის ფურცელი"

ეღირება 3 მან. 50 კაპ.



!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

ახლად გაგსნილი ქართველ მგზავრთათვის

## მორთული ოთახები „აბაშა"

ტფილისში მეორე მოლაკნის ქუჩაზე, მჟავლიძის სახლებში

ეს მორთული ოთახები მართლაც და მამარჯვებულსა და მოხერხებულს ადგილას არის მგზავრებისათვის; ტფილისის ვოგზალის მახლობლად და სწორედ კარებზე უდგას აგზალის კონკა.

ოთახები საგანგებოდ და საუცხოვოდ არის მორთული და თან სუფთა, წმინდა და სინათლიანი. მოსამსახურე თავაზიანი და მარდი.

## ფასი სამაგალითოდ იაფია

50 კაპიკიდან 1 მან. 50 კაპიკ. დღეში თვეობით უფრო იაფი.

დავწოლები მარად პატივცემული ნიკო თოფურია. (10—7)

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!


!!მგზავრთა საყურადღებოდ!!


სამკურნალო და სასარგებლო დასალევი




## ქეფირი და კუმისი




ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—33) ო. კორონა.



სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგიო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ზერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია

Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.



გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებსა და ეკკლესიებშიაც

ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამის

## მარინესი

მეორედ გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამამისა.

ფასი ერთი შაური. (10—8)


# ახალი ამბავი

—

*** ვასილ აბაშიძის მოგზაურობა პატარა დასით. ვასილ აბაშიძე პატარა დასით ამ კვირას გაემგზავრება იმერეთისკენ. პირველ წარმოდგენას გამართავს ხაშურში 26 ივნისს, 27 ყვირილაში, 29 ქიათურაში, 1 და 4 ივლისს ხონში, 7 მეორე წარმოდგენას გამართავს ყვირილაში და 11 უკანასკნელს წარმოდგენას მიხაილოვში. იმედი გვაქვს ჩვენს ნიჭიერ არტისტს ვ. აბაშიძეს ყველგან დახმარებას აღმოუჩენენ.

*** ქართ. სცენის დრამ. საზოგადოებისა. ამ საზოგადოების გამგეობას დაუნიშნავს კერძო სხდომა პარასკევს საღამოს 7 საათზე თავის კანტორაში. სხდომაზე მოწვეულები არიან თურმე ჩვენის თეატრის გულშემატკივარი და გამოცდილი პირები ორმოცდა-ათამდე კაცი. სხდომას საგნად აქვს მოილაპარაკოს დამდეგ სეზონში ქართული წარმოდგენების მოწესრიგებაზე, არტისტების და რეპერტუარის განახლებაზე და სხვა წვრილმანებზე საქმის საუკეთესოდ მოსაწყობად.

*** მთავარ-მართებლის თანაშემწე დენერალი ფრეზე გამგზავრებულა გუშინ კოჯორში საავგარაკოდ და მასთან მთავარ-მართებლის კანცელარიაც, ხოლო დირექტორი კანცელარიისა ბ-ნი სანდრიგაილო მიდის ესენტუკში მთავარ-მართებელთან თავ. გოლიცინთან.

*** სტატისტიკა ტფილისზე. ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ წარსულ 1898 წელს ტფილისში 1016 ქორწინება ყოფილა, დაბადებულა 4899 ბავშვი, მათ შორის 2261 ვაჟი და 2155 ქალი, ხოლო უკანონო 183 ორთავე სქესისა. მომკვდარა 3927 სული. მათ შორის მდედრი 1610 სული და მამრი 2317 სული. ამათ შორის ბევრი კვდებოდა თურმე ბავშვები ხუთ წლამდე მოზრდილები 25—30 წლამდე, ასე რომ ტფილისს შემატებია შარშან ათასამდე სული ორივე სქესისა.

*** ნავთის ქურდობის საქმე ბაქოში. ამას წინედ ჩვენ დაბეჭდილი გვქონდა, რომ ბაქოში ნავთის მწარმოებელთ ფითოევს და ამხ. უჩივლია ნავთისავე მწარმოებელის რილსკისათვის რომ ეს უკანასკნელი რამდენი ხანია ჩუმად ნავთ გვპარავსო. ამ გვარად ასტყდა ეს საქმე და ცოტა ხნის შემდეგ შეპყრეს რილსკის ქარხნის გამგე ლუნევსკი, ეხლა როგორც „ნოვ. ობოზ." იუწყება თვითონ რილსკიც შეუპყრიათ და ციხეში ჩაუსვამთ. რილსკი თურმე მდიდარი კაცია და ათ მილიონზე მეტი შეძლება აქვს. რილსკის ციხეში ჩასმას ბაქოში დიდი ალიაქოთი გამოუწვევია.

*** თბილისის პედაგოგიური კურსები. 19 ივნისს, პირველი სანიმუშო გაკვეთილი სადმრთო სჯულში მიცემულ იქმნა ზანათის ერთ კლასიანი სამრევლო სკოლის (სენაკ. მაზრ). მასწავლებელი ბ. პარმენ უჩანეიშვილის მიერ.

მეორე სანიმუშო გაკვეთილი ანგარიშში (ციფირში) მისცა ქ. ფოთის ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ბ. გ. დუნდუამ. მესამე სანიმუშო გაკვეთილი ქართულს ენაში მიცემულ იქმნა ჯუმათის ევრედ წოდებულ „საჯალიის (ოზურგ. მაზრ). ერთკლასიანი სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ბ. ი. უშვერიძემ, ეს გაკვეთილები გარჩეულ იქმნა ორშაბათს, 21 ივნისს, და სამივე მოწონებულ იქმნა. განსაკუთრებით ბ. უჩანეიშვილის 1 გაკვ. სადმრთო სჯულში გაურჩევლად ერთხ-

მით მოწონებულ იქმნა, ორშაბათს 21 ივნისს, პირველი სანიმუშო გაკვეთილი საღმრთო სჯულში მისცა ქ. ქუთაისის ამაღლების საფიჩხიის სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ბ. ლ. გაბრისიძემ, მეორე სანიმუშო გაკვეთილი რუსულს ენაში მისცა ლალ-ოგლინის (ყარსის ოლქ) საეკკლესიო სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ბ. თევდორე კონსტანტინეს ძე ბილბილოვმა (ბერძენი). მესამე სანიმუშო გაკვეთილი ციფირში (ანგარიშში) მიცემულ იქმნა ექადიის (ოზურგეთ მაზრ). ერთ-კლასიანი საეკკლესიო სამრევლო სკოლის მასწავლებლის ბ. ვასილი სოლომონის ძე დუმბაძის მიერ, მეოთხე სანიმუშო გამოსაცდელი спробный) გაკვეთილი ქართულის ენისა მისცა ნაგომარის (ოზურგ. მაზრ.) ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ბ. ივანე ანდღულაძემ, ოთხივე გაკვეთილები გარჩეულ იქმნა, ორშაბათ საღამოს და მოწონებულ იქმნა, განსაკუთრებით გაურჩევლად ერთხმათ მოწონებულ იქმნა მესამე გაკვეთილი ანგარიშისა, მიცემული ბ. დუმბაძის მიერ წრეულს გაკვეთილები თითქმის ყველა კარგათ იქმნენ მიცემულნი.

გურულ-მეგრელი.

*** იოანე ნათლის მცემლის უდაბნოს დღეობის გამო. სადგურ ყარაიაზიდან 20 ვერსის მანძილზე აღმოსავლეთ სამხრეთით გაშენებულია ეს დიდებული უდაბნო. სადგ ყარაიაზიდან ამ 20 ვერსის გავლაში ვერ შეხვდება მოგზაური ვერცა წყალს და ვერც ხეს, რომ სიცხისაგან თავი მიაფაროს. მხოლოდ ვაკე მინდორია, აქ ზაფხულობით კარგა ძნელია მოგზაურობა, რადგანაც საქართველოს სხვა და სხვა ქვეყნების შედარებით აქ უფრო ცხელა. როცა ამ უდაბნოს რამოდენიმე ვერსზე მიუახლოვდებით დაინახავთ ერთ მთას, რომელიც მგლოვიარობის ნიშნის დამხატველია კაცის გონებაში და თან აქა-იქ გაწითლებულია მეტის-მეტი სიცხისაგან თითქოს დაუწვავთ ოდესმე.

ამ უდაბნოს კიდევ ისტორია უწოდებს მრავალ მთის უდაბნოებად, რადგანაც იმის გარემოს კიდევ ათთერთმეტნი უდაბნონი არის გაშენებულნი სულ გამოკვეთილ კლდისაგან, მხოლოდ დღეს მარტო ორილი არის სხვა და სხვა დროის რბევასა და აოხრების შემდეგ პირველი ნათლის მცემლისა და მეორე ღირსი მამა დავითის უდაბნო. ამა უდაბნოდგან ათი ვერსით იქით გაშენებულია. იმ ათს სხვა და სხვა სახელოვან უდაბნოში დღეს კიდევ 50-მდე ეკკლესიები მოსჩანს, და მრავალ მათგანში მხატვრობაც მოიპოვება ძველ კედლებზე საუცხოვო ხელოვნური,

ყველა ეს უდაბნონი გმოკვეთილი კლდებისაგან შესდგება ეკკლესიებით და ბერებთა საცხოვრებელი სენაკებით. როცა გალავნის ალაყაფის კარებში შედიხართ ამა უდაბნოსა, წარმოგიდგებათ საუცხოვო სიჩუმე და სიწყნარე, მხოლოდ მხილველნი ამა უდაბნოსი გაკვირვებით შეჰყურებს იქაურს ეკკლესიებს და სენაკებს, ამ უდაბნოში სამი ეკკლესია არის გამოკვეთილი კლდეებისაგან. პირველი დიდი იოანე ნაულის მცემლის შობის სახელზე სივრცით რვა საჟენი განით ისევ რვა საჟენი არის, მხოლოდ სიმაღლე კი ხუთი საჟენი.

ამ ეკკლესიას მრავალი რამ მოიპოვება შესანიშნავი მხოლოდ ჩვენ ცოტაოდენს მოვიხსენებთ. პირველი მისი ძველის ძველი კანკელი სულ ჩუქურთმიანი, ისეთი რომ უცხოეთის ქვეყნის პირნიც განცვიფრებაში მოჰყავს. (ვაჯისა არის კანკელი ეს,) იმ კანკელის ხატები ისიც ძველის ძველი. კედლებზე მხატვრობა მოიპოვება, მხოლოდ წარწერა წაბღალია დროთა ვითარების გამო. ამ ეკკლესიას სხვა და სხვა მრავალ ნაწილებთა შორის მოეპოვება ერთი შესანიშნავი ხატი იოანე ნათლის თავის კვეთის, ამავე ხატში იოანე ნათლის მცემლის ორი თითი ბრძანდება ხორციელად განუხრწნელად, უსახელო თითი და ნეკი ეს ხატი ამავე ნაწილებით ძველადვე ამავე უდაბნოში ბრძანებულა, მხოლოდ შემდეგ რამოდენიმე დროისა ერთ რომელიმე პირს წაუღია. და ისევ ამავე საუკუნეში უკანასკნელს მეფე გიორგი მეცამეტეს შეუმოუწირავს იმის სადსოვრად, რადგანაც ამავე უდაბნოს წინამძღვარი ევთიმი ჰყოლია მოძღვრად და ამ ხატის პირდაპირ ასაფლავია კიდეც ის წინამძღვარი. ამავე მეფე გიორგის მეცამეტეს დედა ანნა დედოფალიც ამ დიდს ეკლესიის სამკვეთლოს მარჯვენით ასაფლავია. ამ დიდს ეკკლესიის სამხრეთით არის კიდევ პატარა ეკკლესია გამოკვეთილ კლდისაგან. წმიდა მოწამე დიმიტრის სახელზე, მესამე ეკკლესია ღვთის მშობლის მიძინების სახელზე. ამ უდაბნოს ამშვენებს მშვენიერი და სანახავად საუცხოვო კოშკი, რომელიც ისევა სდგას. უდაბნოს მდინარე წყალი ანუ წყარო არ მოეპოვება, მხოლოდ წვიმის წყალსა ხმარობენ კრებულნი სასმელად. ამ უდაბნოს ნამდვილი გამშენებელი არა სჩანს ისტორიის საშუალებით. მხოლოდ ერთ ალაგას იხსენიებს, რომ მეფე დ[...]ვით აღმაშენებელმა აღმართა[...] აღმართვას თუ აშენებას უწოდე[...] არ ვიცი მხოლოდ მგონია, რო[...] განახლებულია და არა აღშენებუ[...]ლი, რადგანაც დავით მეთორმეტ[...] საუკუნეში მეფობდა და ეს უდა[...]ნო ცხადია უფრო ძველი დრო[...]სა არის. ამ უდაბნოს წინამძღვ[...]რი ბრძანდება მათი მეუფება ეპ[...]სკოპოზი ლეონიდე. გასულს წელ[...] უბრძანა მათმა მეუფებამ ეპისკო[...]პოზმა ლეონიდემ მღვდელ-მონა[...]ზონს დიდიმეს, რომელიც ამა უდაბ[...]ნის ხაზინადარია, რომ ეს სენაკე[...]ბი, რომლებიც იქცევა წვიმების[...]გან განაახლეო. განაახლეს ოცდ[...]ათი სენაკები მონაზონების სა[...]ხოვრებლად და მშვენიერი სან[...]ხავია ეს სენაკები ისევ ძველებ[...] და გამოკვეთილი კლდეებისგან შე[...]სდგება, ყველა ამ შრომის მოთავ[...] დიდიმე მღვდელ-მონოზონი ბრძა[...]დებოდა და დიდი მადლობის ღი[...]სია. ამ უდაბნოს სენაკებში, რო[...]ლებშიაც ცხოვრება შეიძლება ორ[...] მოცი ოთახი იქნება.

ამ უდაბნოში დღესასწაულობ[...] იოანე ნათლის მცემლის შობ[...] დღეს, რომელიც მოდის (ივნის[...] ანუ თიბათვის ოცდა ოთხსა) [...] უდაბნოს დღესასწაულზე მლოც[...]ვები სულ რუსები დადიან ქალ[...] ტბილისიდგან. სამწუხაროდ ქა[...]თველები ნაკლებია. ოცდა სამ[...] წირვას მოისმენენ და წირვის შ[...]დეგ ისევ იოანეს უდაბნოში გა[...]მოვლენ და იქ დაესწრებიან დღ[...]სასწაულს,

წელს ყოვლად სამღვდელ[...] ლეონიდე მობრძანდება ამა უდა[...]ნოში და უფრო დიდი მლოცვ[...]

## „შეურაცხყოფილნი“ ყმაწვილნი კავკასიისა.

„შეურაცხყოფილნი ბავშვები“ დაარქვა დოსტოევსკიმ მცირე წლოვან დამნაშავეებს და მართლაც, უკეთესი სახელის ამორჩევა მათთვის ალარ, კი შეიძლება; ისინი სწორეთ შეურაცხყოფილი არიან საზოგადოების მიერ, რადგანაც საზოგადოება ჰქმნის ისეთ პირობებს, რომლებიც აიძულებენ ბუნებით პატიოსან მცირე წლოვან წევრებს მრუდე გზას დაადგნენ. ამიტომ თვით საზოგადოებისავე მოვალეობას უნდა შეადგენდეს ამ შეურაცხყოფის ჩამორეცხა და შეურაცხყოფილების ისევ სწორე გზაზე დაყენება.

როგორც ყველა დიდი სოციალური იდეები, მცირე წლოვან დამნაშავეების გასწორების იდეაც ჯერ კერძო პირების გულში ჩაისახა და დიდმა ხანმა გაიარა მანამდის, სანამ ის ყველასაგან მიღებული და შეწყნარებული იქმნა; პირველი ამგვარი თავშესაფარი დაარსდა 1735 წ. იტალიაში; ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში გასწორების იდეა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში გავრცელდა და ამ ჟამად იქ თავშესაფარის რიცხვი ძალიან ბევრია; ზოგ მათგანში ასზე მეტი ბავშვია შეკრებილი. ამ გამსწორებელ თავშესაფრებების წესწყობილება იმ აზრზეა დამყარებული, რომ ცუდ პირობებში ჩავარდნილი ბავშვები, რომლებიც უნებლიეთ დამნაშავეთ ხდებიან, დასჯის ღირსი კი არ არიან, არამედ ყურადღების მიქცევას და მათზე ზრუნვას ითხოვენ. გასასწორებლათ საუკეთესო საშუალებას შრომა შეადგენს, და თავშესაფარებში ბავშვები უსაქმურათ არასოდეს არ არიან.

რუსეთში ამ იდეამ მიაღწია 1864 წ და ალექსანდრე II 1866 წელს გამოსცა გამასწორებელი თავშესაფარების გახსნის შესახებ კანონი, რომლითაც მათ დასაარსებლათ კერძო პირებს, ერობებს, საზოგადოებას და სამღვდელოებას იწვევდა. ამ ჟამათ რუსეთში 35 თავშესაფარი და მათში 1500 ბავშვია მოგროვილი, საჭიროება კი მოითხოვს, რომ ორი ამდენიც იყოს, რადგანაც საკმარისი თავშესაფარის უქონლობის გამო აუარებელ დამნაშავე ბავშვებს ისევ ისე საპყრობილეებში ამწყვდევენ. კავკასიაში კიდევ უფრო საჭიროა ამნაირი თავშესაფარები, ვიდრე სადმე სხვაგან, რადგანაც ის ახლა ეკონომიური განვითარების პირველ ხანშია, ეს ხანა კი ცხოვრებისთვის ბრძოლას უმაღლეს წერტილამდის იყვანს; ამ ბრძოლის შედეგს ყოველთვის ხალხის ერთის ნაწილის გაღარიბება და ულუკმაპუროთ დარჩენა შეადგენს, გაჭირვება კი უმთავრესი მიზეზია ყო[...]ველგვარი დანაშაულობის ჩადენი[...] განსაკუთრებით ბავშვებს შორი[...]

კავკასიის საზოგადოებამ კიდ[...] გადაუწყვიტა ამგვარი თავშესაფ[...]რის დააარსება და დაარსა ოქრ[...]ყანაში კოლონია, კერძო პირი[...]გან ნაჩუქრავებ მიწაზე. (1895 [...] თავშესაფარი ჯერ 25 ბავშვის[...]ვის იყო გახსნილი, მაგრამ მა[...] გამოაშკარავდა, რომ ეს რიცხ[...]ნამეტანი მცირე იყო და თავშე[...]ფარი გაფართოვდა, ახლა მას[...] 50 ბავშვია. ცალკ-ცალკე თავ[...]საფარი ყოველ გუბერნიაში სა[...]რო არ არის, რადგანაც თი[...] გუბერნიაში დამნაშავე ბავშვე[...] რიცხვი ძალიან ცოტაა და არც [...]დენი საშუალებაა, რომ რამდე[...]მე თავშესაფარის შენახვა არ [...]ჰირდეს, ერთის კარგათ მოწყო[...] და გაფართოვება კი მიუცილ[...]ლათ საჭიროა. წელიწადში თი[...]